ეროვნული ეკონომიკის განვითარების ადაპტური მოდელი

ელენე მენაბდე – ჯობაძე, *სტუ-ს პროფესორი*
ანზორ აბრალავა, *სტუ-ს პროფესორი*

Summary

Article by Elene Menabde – Jobadze and Anzor Abralava: "Adaptive Model of Nacional Economy Development" considers the issue of great importance for Georgia – the critical role of the state in development of economy in the complex process of seeking of the market model corresponding to the country's image.

Adaptive model of development of Georgia is offered. It should take into consideration:

Governance system oriented towards the state of he art techniques and technologies;

The system should be adaptive and transformational;

Optimal;

Adequately dynamic.

The government faces three objectives: ensuring effectiveness, adaptation ability and optimality.

The system comprises certain set, elements of which function in the open economic system, separately, though serving to achievement of common success.

For modern progress, two major trends are decisive:

Globalization: naturalization of negatives and emphasis on the positives;

Innovations: materialization of the scientific-technological progress achievements, positioning of our economic thinking and state economic activities around this, with its regulating function.

****

სახელმწიფოს როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში უმნიშვნოვანელესია. ეს საკითხი ნებისმიერ ქვეყანაში აქტუალურია, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორშიც დღეს საქართველოა – რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ჯერ კიდევ საკუთარი იერსახის სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური მოდელის ძიების საკმაოდ რთულ პროცესშია. ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული, თუ როგორი ტიპის ეკონომიკა გვინდა რომ გვქონდეს.

სიღარიბის დაძლევა რომ შესაძლებელია, ამას გვაჩვენებს დღეს მდიდარი, მაგრამ ოდესღაც ისეთი ღარიბი ქვეყნების გამოცდილება, როგორებიც არიან იაპონია, ფინეთი, ირლანდია, ტაივანი და სამხრეთ კორეა. მაგრამ უფრო მეტია იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც ადრეც ღარიბები იყვნენ და ახლაც ასეთებად რჩებიან. ამას მხოლოდ ამ ქვეყნების გარშემო არსებულ საერთაშორისო მდგომარეობას ვერ დავაბრალებთ. იგი ხომ მრავალი ქვეყნისათვის საერთოა?!

სწრაფი განვითარებისა თუ პირიქით, განუვითარებლობის უმთავრესი მიზეზები თავად ცალკეული ქვეყნის შიგნით არის საძიებელი. ამ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ განვითარებაში არსებული განსხვავების უმთავრესი მიზეზი მათ სამეურნეო პილიტიკას შორის არსებული განსხვავებაა. ზოგი ქვეყანა ატარებს ჯანმრთელი სახელმწიფო ფინანსების, დაბალი და მარტივი გადასახადების, საიმედო საბანკო სისტემის და ა. შ. პოლიტიკას. ასეთი ქვეყნები საკუთარი მოქალაქეების ცხოვრების დონესაც ამაღლებენ და კრიზისების მიმართაც საკმაოდ გამძლენი არიან. მაგრამ უფრო მეტია ისეთი ქვეყნები, სადაც ასეთი მიდგომები საერთოდ არ არსებობს, ან ნაწილობრივ გამოიყენება ისინი.

ცუდ სამეურნეო პოლიტიკას ორი მიზეზი განაპირობებს: ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების ზეწოლა და უცოდინარობა, უფრო სწორედ ეკონომიკური მეცნიერების ცუდად ცოდნა. მაგალითები იმისა, რომ ასეთ ინტერესთა ზეწოლის ჯგუფები ძლიერდებიან და მცდარი გზით მიჰყავთ ეკონომიკა, არცთუ ისე ცოტაა, შესაბამისად მცირეა იმ ქვეყანათა რაოდენობა, რომელთაც მიაღწიეს კრიზისიდან გამოსვლას და ეკონომიკურ ზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.

ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზეწოლის ჯგუფების ბრძოლის მთელი არსი მდგომარეობს თავისი წევრების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ასეთი პატარა ინტერესთა ზეწოლის ჯგუფის მოქმედების მექანიზმი კარგად აქვს ახსნილი ცნობილ ამერიკელ ეკონომისტსა და სოციოლოგს, მარკ ოსლონს. ხოლო ცოდნის დაბალი დონე ხელს უწყობს ინტერესთა ზეწოლის ჯგუფების საქმიანობას.

ეკონომიკური რეგულირების ფორმების გართულების ობიექტურ ტენდენციებთან დაკავშირებით, საქართველოში ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესში, მათ კომპლექსურ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

კრიზისის დაძლევა დაკავშირებულია მეცნიერულ-ტექნიკური დონის ზრდისა და შენახვის საკითხებთან, რომელთა გადაწყვეტა შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას და მის საფუძველზე სათანადო ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას მოითხოვს.

დემოკრატია მართვის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში ძალაუფლების შეზღუდვა უდევს საფუძვლად. დემოკრატიული საზოგადოების შექმნა ორივე მიმართულებით სერიოზულ ძვრებს გულისხმობს.

არსებული პრობლემის დასაძლევად საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების

გამოცდილების დაგროვება, განათლების სისტემის რეფორმირება, კომუნიკაციის საშუალებათა ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც აუცილებელია თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სტრუქტურათა სამართავად.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიზანი ბაზრის მაღალეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფაა, რომელიც მოსახლეობის სოციალურ დაცვას, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, განათლებისა და პროფესიული ცოდნის ამაღლების სისტემის რეფორმირებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, მძლავრი სატრანსპორტო და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნას, მტპ-ის მიღწევათა საფუძველზე ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას და ა.შ. გულისხმობს.

სახელმწიფო რეგულირების ობიექტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, თუ რა არის ძირითად სტრატეგიად, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიმართულებად აღიარებული. თუმცა არის ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც ნებისმიერი ქვეყნისთვის ძირითადი სახელმწიფო ზრუნვის საგანს წარმოადგენს – ესაა სამხედრო — პოლიტიკური და სოციალურ — ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა - შენარჩუნება, რაც მთელი საზოგადოების სურვილია, მაგრამ მისი რეალური განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია.

გლობალურ ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი არასახარბიელო ხდება. იგი ვეღარ აკონტროლებს ვერც სავალუტო კურსებს, ვერც ფულის, ინფორმაციისა და საქონლის ნაკადებს. ამის მიუხედავად, სწორედ მას ეკისრება პასუხიმგებლობა მოქალაქეთა განათლებასა და შიდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, ანუ იმ ორ ფუნქციაზე, რომელიც ეკონომიკის საერთო განვითარებაზეა დამოკიდებული. გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფო აღარაა ტოტალიტარული, მაშინ, როდესაც ეკონომიკა სულ უფრო მეტად იძენს ამ თვისებას.

საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია და, ბუნებრივია, მისი განვითარება საერთო ტენდენციების კალაპოტში ხდება. ეროვნული მეურნეობის აღორძინება დღეს შეუძლებელი იქნება საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური სისტემის ჩამოუყალიბებლად, მთლიანად სისტემური ტრანსფორმაციის გარეშე. საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი სფეროები ახალი გარემოს შესაფერისად უნდა შეიცვალოს, ეს კი ეროვნული ტრადიციებისა და ორიენტაციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, საქართველომ დღესვე უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ეპოქის შესატყვისი ზნეობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წანამძღვრების ჩამოყალიბება, რისთვისაც გამუდმებით უნდა იზრუნოს სათანადო გარემოს შესაქმნელად ქვეყნის შიგნით და მის გარეთ.

ამ თემაზე მსჯელობისას ობიექტურად დგება სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ეროვნული მოდელის შემუშავების მიზანშეწონილობის საკითხი.

მსოფლიო სამეურნეო კავშირურთიერთობების თანამედროვე გლობალურ სისტემაში მაკროეკონომიკური განვითარების რამდენიმე მოდელი ჩამოყალიბდა. განვითარებულ ქვეყნებში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები: ანგლოსაქსონური ტიპის ნეოლიბერალური ეკონომიკა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ახალი ზელანდია), სოციალური საბაზრო ეკონომიკა (ევროკავშირის კონტინენტური ქვეყნები, კანადა, ისრაელი) და აღმოსავლეთ აზიური მოდელი (იაპონია და რეგიონის წამყვანი ქვეყნები); ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გარდამავალ ეკონომიკაში შეხამებულია ნეოლიბერალიზმისა და სოციალური ბაზრის ნიშნები; რაც შეეხება ჩინეთს, მისი ეკონომიკის მოდელს ახასიათებს ბაზრის იდეოლოგიური და პოლიტიკური კონტროლი კომპარტიის მხრიდან.

ნეოლიბერალური ანგლოსაქსონური მოდელი, რომელიც 1980-90-იან წლების მიჯნაზე ჩამოყალიბდა დასავლეთში, გამოირჩევა ეკონომიკაში სახელმწიფოს შედარებით მოკრძალებული როლით და მომეტებული სამეწარმეო აქტივობით. ამ მოდელის ქვეყნებში არსებითადად შემცირებულია სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წილი, შეკვეცილია სახელმწიფო ხარჯები, რამდენადმე დაქვეითებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის დონე. ანგლოსაქსონური ქვეყნები ამჟამად ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიან, მაგრამ საზოგადოება არაერთგვაროვანია და მკვეთრადაა დიფერენცირებული შემოსავლის დონის მიხედვით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ისტორიულად დიდია სახელმწიფოს როლი. აქ კერძო სექტორის შემოსავლებს სახელმწიფო ისეთი საგადასახადო სისტემის მეშვეობით გადაანაწილებს, რომელიც საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს მაღალშემოსავლიანებს. ეს მოდელი ერთგვარი კომპრომისია კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის და ხელს უწყობს საზოგადოებაში ჰარმონიულობის მიღწევას

აღმოსავლეთ აზიაში გავრცელებული მოდელის თავისებურება ერთგვარი აღმოსავლური კლანურობაა, მეწარმეებისა და სახელმწიფოს ინტერესების მჭიდროდ გადახლართვა, ეროვნული ეკონომიკის ორიენტაცია ექსპორტზე. თავის დროზე განვითარების სწორედ ასეთმა მოდელმა განაპირობა ე.წ. "აზიური სასწაული", ახლა კი აშკარად გამოჩნდა მისი სერიოზული ნაკლოვანებები.

საკმაოდ ძნელია განვითარების საუკეთესო მოდელის გამორჩევა, რადგან ქვეყნების განუმეორებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, არ არსებობს ყველა მათგანისათვის საერთო "იდეალური მოდელი".

მეცნიერები უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ ეკონომიკური ცხოვრების ეროვნულ მოდელთან დაკავშირებით, რაც მჭიდროდ უკავშირდება დროის მოთხოვნას ახალ ეკონომიკურ აზროვნებაზე გადასვლის აუცილებლობის მიმართ.

პროფესორი თ. ჩიკვაიძე ობიექტურად მიუთითებს, რომ 1990-იან წლების ნგრევა გარკვეულწილად საქართველოს ეკონომიკური ელიტის თანამედროვე პოსტინდუსტიული მოთხოვნებისადმი შეუსაბამო აზროვნებამ განაპირობა. ეს ელიტა დღემდე უპირატესად რაოდენობრივი, რაციონალისტური კანონზომიერებებით ხელმძღვანელობს და ამიტომ არ შეუძლია შეიმუშაოს საქართველოს თავისებურებების შესაბამისი განვითარების რეალური მოდელი. მეცნიერი ხაზს უსვამს დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების ერთმანეთისკენ ლტოლვისა და სინთეზისაკენ მათი სწრაფვის ტენდენციას და აღნიშნავს, რომ საქართველოს შეუძლია გაამდიდროს თავისი ცივილიზაცია დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციების სინთეზის გამოყენებით.

ცხადია, ამ გზით შეგვიძლია შევიმუშაოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისეთი განსხვავებული მოდელი, რომელიც ყველაზე უკეთ დაუკავშირებს ქვეყნის პირობებსა და შესაძლებლობებს საერთო-ადამიანურ კანონზომიერებებსა და იდეალებს.

საქართველოს ეკონომიკა უნდა დაეფუძნოს არამარტო ეკონომიკურ, არამედ ადამიანურ კანონებსაც. ასეთნაირად ჩამოყალიბებულ ეკონომიკას იგი "ადამიანურ ეკონომიკას" უწოდებს და შენიშნავს, რომ "ეს ახალი ეკონომიკა სტიქიურად რეგულირებადი, დანაკარგიანი, ქაოსის, აგრეთვე, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული, ბიუროკრატიული წესით მოქმედი ეკონომიკის ალტერნატივაა".

ეკონომიკური უპირატესობების გასარკვევად ორი ვარიანტი არსებობს: ჩატარებული კვლევის შედეგად ან ბუნებრივად გამოვლენილი. Eეს ორი გზა ერთმანეთს არ გამორიცხავს. ევროპელი ექსპერტების მიერ საქართველოში ჩატარებულმა კვლევამ რამოდენიმე დარგი გამოავლინა: სატრანსპორტო დერეფანი (რკინიგზა, მილსადენები), ჰიდროენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, ტურიზმი, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა სამშენებლო მასალების მიმართულებით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებზე დაყრდნობითა და განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პერსპექტივა სავარაუდოდ ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: საქართველოს გააჩნია სათანადო საბაზო რესურსები, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მონახოს თავისი ისტორიული ადგილი და შეასრულოს რეგიონში ლიდერის როლი, როგორც ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე ორიენტირებულმა ქვეყანამ. იმ თვალსაზრისით, თუ რა მოაქვს თავსმოხვეულ გლობალიზაციას (კორპორაციულ ნიველირებას), ამასთან დამოკიდებულებაში ქვეყანას უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი, ერთმნიშვნელოვანი ანტიგლობალისტური სახელმწიფოებრივი კურსი.



სქემა №1 საქართველოს განვითარების ადაპტური მოდელი

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საქართველოს განვითარების ადაპტური მოდელი. იგი უნდა ითვალისწინებდეს:

1. უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორიენტირებულ, შესაბამის მართვის სისტემას;
2. სისტემა უნდა იყოს ადაპტური, ტრანსფორმაციული;
3. ოპტიმალური;
4. შესაბამისად დინამიკური.

სახელმწიფოს წინაშე დგას სამი ამოცანა: ეფექტიანობის, ადაპტურობისა და ოპტიმალურობის. სისტემა წარმოადგენს გარკვეულ მთლიანობას, რომლის შემადგენელი ელემენტები ღია ეკონომიკურ სისტემაში ფუნქციონირებენ ცალ-ცალკე, მაგრამ ემსახურებიან ერთიანი წარმატების მიღწევას. დგება ცენტრო — პერიფერიული ურთიერთობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც უმნიშვნელოვანესია ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის. (სქემა №1)

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბ: თსუ-ს გამომცემლობა, 2001, 292 გვ.
2. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი: ინოვაცია, 2005, 380 გვ.
3. ბეკი ულრიხ. რა არის გლობალიზაცია?: გლობალიზაციის შეცდომები, პასუხები გლობალიზაციაზე / თბ. 2003 — 206 გვ.
4. ჩიკვაიძე თ. ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველოს მომავალი: სტრატეგია XXI საუკუნისთვის. ჟ: "პოლიტიკა" №4-6, 1998, გვ.40-50.
5. ჰეინე პ. აზროვნების ეკონომიკური წესი. თბ. 2004. 497 გვ.